საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 29 ივნისის
დადგენილება № 498

მაგისტრატურისა და დოქტორანტურის
საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებისა
და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ ბრძანებასთან და აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის №433 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამების ფორმებთან შესაბამისობის და 2011 წლის 17 ივნისის №483 „მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დადგენილებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდეს ცვლილება უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებში.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ ბრძანებასთან და აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №486 დადგენილებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდეს ცვლილება უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში.
3. დამტკიცდეს პირველ და მეორე პუნქტებში აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები.
4. დადგენილება ვრცელდება მხოლოდ 2011-2012 სასწავლო წელს მიღებულ სტუდენტებზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე